	2016	2017	2018
აქტივების ჯამური ღირებულება (ერთეული ლარი)	1410016	1423110	1501643
შემოსავალი (ერთეული ლარი)	336949	359656	392834
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (ერთეული)	17	17	17

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები 11 - 12	53,353	33,943
სავაჭრო მოთხოვნები 14 ები	5,654	6,210
გადახდილი ავანსები საგადასახადო ზედეტობა თუ არის აქ იწერება 1480	1,215	1,242
მარაგები		
- მზა პროდუქცია 1640		
- სხვა 1610-1620-1630	46,489	32,252
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები 1690/13 საგადასახდაო მეტობა	3,205	3,407
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები 2510 2520 2530 2540		
ძირითადი საშუალებები 2150-2160-2170-2180-2200-ბი	1,391,727	1,346,056
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები 2400 და რომლების 1 წელზე მეტი ხნისაა		
სულ აქტივები	1,501,643	1,423,110

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები 3110/3111	5,919	4,859
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები 3112		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 3130		
საგადასახადო ვალდებულებები დარიცხული გადასახდელი საბიუჯეტო ჯამი 33 იანის ჯამი		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	6,377	1,492
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 3200 3400		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები 3160 ვალდებულება პერსონალის წინაშე		
სულ ვალდებულებები	12,296	6,351
საკუთარი კაპიტალი 5150 - 5310		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'ს	930,500	961,500
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი რაც დარჩა საწყის ნაშთს პლიუს შედეგი	558,847	455,259
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1,489,347	1,416,759
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,501,643	1,423,110

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018
ნეტო ამონაგები	392,834
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	392,834
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(30,299)
საწყისი მარაგები	(32,252)
მარაგების შესყიდვა	(44,536)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	46,489
საერთო მოგება	362,535

სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(116,941)
ცვეთა და ამორტიზაცია	
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	
იჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(142,006)
სულ საოპერაციო ხარჯები	(258,957)

საოპერაციო მოგება	103,588.000

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	103,588
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	103,588

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	103,588

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,416,759
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	103,588
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(31,000)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,489,347

206264521

Ca. 33 - Ghi chú.

ფულადი სახსრების მოძრაობა

წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან	95260
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-76037
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	19223
სავალუტო კურსის ეფექტი	187
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	33943
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	53353

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს "ნატა " რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, მისამართი: ქ თბილისი დ.მეგრელის ქ.2 ს/ნ 206264521 შპს ნატა-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს ნომრებით მომსახურეობა,რესტორნის გარეშე.

შპს "ნატა"-ს სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (მსს ფასი). ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბურალტრო პროგრამა "სუპერფინის"-ის გამოყენებით.

<u>უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები</u>

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების მოხდენის დღეს დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით ფუნქციონალურ ვალუტაში. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაანგარიშებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის შესაბამისი სავალუტო ოფიციალური გაცვლითი კურსით. ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	**ევრო**
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს:	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს:	2.6766	3.0701

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შემოსავალი.

სასტუმროს ნომრებიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავალი

საიჯარო შემოსავალის აღრიცხვა სასტუმროს ნომრებიდან ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება სავაჭრო და სხვა ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც განხორციელდა სერვისების მიწოდება და როდესაც მოსალოდნელი გახდა, რომ საფასურის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავალი სასტუმროს ნომრებიდან აღიარდება მას შემდეგ, რაც ხდება ოთახის ათვისება. აღნიშნული ეფუძნება, თუ რამდენ ღამეს დარჩება ვიზიტორი. იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც მომხმარებელი
იღებს მომსახურებას.

სხვა სერვისები

გაწეული სერვისებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება მოგებაში ან ზარალში იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა სერვისების გაწევა, შესაბამისი მიღებული ან მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, სავაჭრო და სხვა და ფასდაკლებების გამოკლებით.

მარაგები

მარაგები ფასდება მის ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერირების პირობებში არსებულ გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი
განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო
ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა
შემოსავლები ან სხვა ხარჯები.
თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევის თანავე აისახება
მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდრომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები,ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე .

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მუშა
მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი
სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული
სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და აისახება მოგება-ზარალის
ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი
ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებები განისაზღვრება არა
დისკონტირებული საფუძვლით და წარმოადგენს პერიოდის ხარჯს, როდესაც შესაბამისი
სერვისი მიღებულია კომპანიის მიერ.
ვალდებულება აღიარებულია იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია რომ დაექვემდებარება
გადახდას, მოკლევადიანი ფულადი ბონუსის, ან მოგების განაწილების ფორმით იმ
შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული
ვალდებულება, გადაიხადოს აღნიშნული თანხა, რაც განპირობებულია წარსულში
პერსონალის მიერ გაწეული მომსახურებით და აღნიშნული ვალდებულების შეფასება
შესაძლებელია საიმედოდ.

<u>მოგების გადასახადი</u>

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში., გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

<u>კაპიტალი</u>

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.